საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტრო

სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

30 09 2019 წ. №251 ქ. თბილისი

მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2019 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/3) განმხილველი საექსპერტო კომისიის შექმნის თაობაზე

„ეროვნული კინემატოგრაფიის სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ" 2000 წლის 5 დეკემბრის საქართველოს კანონის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად და „სსიპ - საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის 2006 წლის 7 აგვისტოს №3/255 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და „საექსპერტო კომისიის დამტკიცებამდე კომისიის წევრობის კანდიდატებზე წერილობითი დასაბუთების მომზადების შესახებ" სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის 2014 წლის 16 ივლისის №170 ბრძანების შესაბამისად

ვბრძანებ:

1.2019 წლის 30 სექტემბერს შეიქმნას მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმის 2019 წლის წარმოების დაფინანსების კონკურსზე შემოტანილ პროექტთა (კონკურსი №2/3) განმხილველი საექსპერტო კომისია 5 წევრის შემადგენლობით:

1. დავით ჯანელიძე - რეჟისორი;
2. ოთარ ყარალაშვილი - ილუსტრატორი;
3. მარიამ კანდელაკი-ანიმაციური ფილმების რეჟისორი/სცენარისტი;
4. თამარ ბართაია-სცენარისტი;
5. დავით მაჭავარიანი-მხატვარი;

2.გაფორმდეს შრომითი ხელშეკრულებები საექსპერტო კომისიის წევრებთან და შრომითი ხელშეკრულებით განისაზღვროს კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება და ხელშეკრულების ვადა.

3. წინამდებარე ბრძანებას თან დაერთოს კომისიის წევრებად მოწვევის თაობაზე წერილობითი დასაბუთება და კომისიის წევრების CV.

4. დაევალოს საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომში-კინოცენტრი) პიარ მენეჯერს გვანცა ზაქარეიშვილს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების კინოცენტრის ვებ-გვერდზე განთავსება.

5. ბრძანება ძალაშია კინოცენტრის ვებ გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი გაგა ჩხეიძე